LEPL "State Military Scientific Technical Centre "Delta"

Digitally signed by LEPL "State Military Scientific Technical Centre "Delta"
Date: 2023.12.21 11:37:50 +04'00'

MOD 4 23 01523121

20.12.2023

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №სკ/23-287
SMP230002091
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"
მისამართი: ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N191დ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202297335
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი- TRESGE22,
ანგარიშსწორების ანგარიში N 707297065

წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ნიკოლოზ ქიზიყურაშვილის** სახით

მიმწოდებელი:

ი/მ აკაკი გეგეშიძე
მისამართი: საქართველო, თბილისი, ხოშ. და ელიავას ქუჩებს, მდ.მტკვრის მარცხ. სანამპ და ვახ. ხიდს შორის დახლი N4
საიდენტიფიკაციო კოდი: 38001003882
ტელ: 599 305078; akakigegeshidze1981@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი; TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE77TB7654036010100005

წარმოდგენილი **აკაკი გეგეშიძის** სახით

ვთანხმდებით რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 სექტემბრის №1691 განკარგულების, 2023 წლის 07 დეკემბრის N667 და N671 ბაზრის კვლევის დასკვნების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1. **„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება“ (შემდგომ – ხელშეკრულება)** – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2. **”ხელშეკრულების ჯამური ღირებულება”** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვანი შესრულებისთვის;

1.3. **„შემსყიდველი“** – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. **„მიმწოდებელი“** – პირი, რომელიც ახორციელებს **საქონლის** მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.5. **„დღე, კვირა, თვე“** – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.6. **„საქონელი“** - წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში განსაზღვრული საქონელი.
1.7. **„ინსპექტირება“** - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი
ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ "დელტას“ მიერ დანართი N1-ში მითითებული საქონლის შესყიდვა, შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლით, ერთეულითა და ჯამური ღირებულებით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება
ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **6,368.48 (ექვსი ათას სამას სამოცდარვა ლარი და ორმოცდარვა თეთრი)** ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები
4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი.
4.2 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა მიერ შეთანხმებულ ხარისხს, ხოლო ასეთი შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში შესყიდვის განხორციელების მიზნის შესაბამის ხარისხს.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა კითხვაზე.
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი ხარვეზები.
4.5 მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.
4.6. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი
5.1. მიმწოდებელმა ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში და ადგილზე უნდა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება:
5.1.1. საქონლის მიწოდების ადგილი: მიმწოდებლის ადგილსამყოფელი: საქართველო, თბილისი, ხოშ. და ელიავას ქუჩებს, მდ.მტკვრის მარცხ. სანამპ და ვახ. ხიდს შორის დახლი

N4

5.1.2. საქონლის მიწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღე.**

5.2. ამ ხელშეკრულების 5.1.2 პუნქტში მითითებული ვადის დაცვით შესაძლებელია, როგორც ერთიანი ასევე ეტაპობრივი მიწოდება.

5.3. მიმწოდებლის მისამართიდან საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1. მოწოდებული საქონლის ღირებულება ანაზღაურდება საქონლის მიწოდებაზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში,** ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული დოკუმენტაციის საფუძველზე.

6.2. ანგარიშსწორების ვალუტა: **ლარი.**

6.3. ანგარიშსწორების ფორმა: **უნაღდო.**

6.4. დაფინანსების წყარო:

- **2023 წლის საკუთარი შემოსავლები - 5,734.28**
- **2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი - 634.20**

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მიწოდებული საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:

7.2.1 სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ "დელტას" ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი: შესრულების ვადების, მიწოდების ადგილის, მიღება ჩაბარების, რაოდენობის (მოცულობის) კონტროლის საკითხზე; საგარანტიო მომსახურების მიღების ან/და წუნდებული საქონლის შეცვლასთან/დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ხელშეკრულების შესრულების, ნაწილობრივ/არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტისთვის წარდგენაზე.

7.2.1.2. სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ "დელტას" ლაბორატორიული მომსახურების, სამშენებლო და საწარმო პროცესების ზედამხედველობის დეპარტამენტი - საქონლის შესაბამისობაზე, ხელშეკრულების 7.3.1 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

7.3 კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

7.3.1 მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობისა და რაოდენობის (მოცულობის) შემოწმება ვიზუალური (მათ შორის სპეციალისტის მიერ დათვალიერება), აზომვითი, ტექნიკური ან/და დოკუმენტური მეთოდით.

7.3.2 საქონლის მიწოდების შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი.

7.4 კონტროლის განხორციელების ადგილია საქონლის მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის მიხედვით.

7.5 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. მიმწოდებლის მიერ საქონლის გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (ხელშეკრულების 7.2.1 ქვეპუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, საქონლის მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისთვის საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი.

8.3. საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი არ წარმოადგენს საქონლის საბოლოოდ მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს და არ წარმოშობს ანგარიშსწორების ვალდებულებას.

8.4. შემსყიდველი (ხელშეკრულების 7.2. ქვეპუნქტში მითითებული პირები) უფლებამოსილია დროებით შენახვაზე მიღებული საქონელი, ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საქონლის დროებით შენახვაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ გადააგზავნოს შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში, რის შესახებაც უნდა აცნობოს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს.

8.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით შენახვაზე შემსყიდველისათვის გადაცემული საქონლის, ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაჩქარებული წესით დადგენის მიზნით, საქონლის დროებით შენახვაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში. მიწოდებული საქონლის ნიმუშის ამოღება და დალუქვა უნდა მოხდეს აკრედიტირებული ლაბორატორიიდან/საექსპერტო დაწესებულებიდან მოწვეული ექსპერტის მიერ, რის შემდეგაც მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს 30 კალენდარულ დღეში წარმოადგინოს ექსპერტის დასკვნა. ამ შემთხვევაში საქონლის ნიმუშის ტრანსპორტირების და საექსპერტო კვლევის ხარჯებს იხდის მიმწოდებელი.

8.6. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან, აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

8.7. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8.8. იმ შემთხვევაში თუ მიწოდების ვადის დარღვევა გამოწვეულია მიმწოდებლის ბრალეულობით, აღნიშნული ფაქტი დაფიქსირებული უნდა იყოს საქონლის მიღებასთან დაკავშირებულ მიღება-ჩაბარების აქტში.

მუხლი 9. ხარისხი

9.1. მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა მიერ შეთანხმებულ ხარისხს, ხოლო ასეთი შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში შესყიდვის განხორციელების მიზნის შესაბამის ხარისხს.

9.2. შემსყიდველის წარმომადგენლ(ებ)ის ან მოწვეული ექსპერტ(ებ)ის მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ 10 სამუშაო დღის ვადაში მოახდინოს წუნდებული ნივთის საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) შეკეთება, თუ მწყობრიდან გამოსული საქონელი არ ექვემდებარება შეკეთებას, მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს მწყობრიდან გამოსული საქონელი ახლით. თუ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში არ შეაკეთებს/შეცვლის წუნდებულ ნივთს, იგი ვალდებულია დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა, მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა.
10.1.1 საქონლის მიუწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.2. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:
10.2.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;
10.3. შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა, გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე.
10.4. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.
10.5. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება მხარის მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, იმის მიხედვით თუ ამ გარემოებებიდან რომელი უფრო ადრე დადგება.
10.6. ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ (არაჯეროვნად) შესრულებისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

მუხლი 11. დავების გადაწყვეტის წესი
11.1 მხარეებს შორის ყველა დავა და უთანხმოება, წარმოქმნილი ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.
11.2. თუ მოლაპარაკების შედეგად მხარეები გონივრულ ვადაში ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, დადგენილი წესით, შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი
12.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.
12.2. ფორს-მაჟორში იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის და რომლის თავიდან აცილება მხარეს არ შეეძლო, კერძოდ, საომარი მდგომარეობა, საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, სახაზინო სამსახურის მიერ შემსყიდველის მხრიდან თანხის გადახდის თაობაზე გაგზავნილი მოთხოვნის დაკმაყოფილების შეჩერება ან უარყოფა, საბიუჯეტო ასიგნების შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებები.
12.3. თუ ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელია ვალდებულების შესრულება, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა ფორს-მაჟორის დადგომიდან, აცნობოს შემსყიდველს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, სათანადო მიზეზების მითითებით. მოცემულ ვადაში შეუტყობინებლობის

შემთხვევაში მიმწოდებელი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. ფორს-მაჟორის ფაქტი და მისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ვალდებულების შეუსრულებლობასთან უნდა დადასტურდეს დოკუმენტალურად.
12.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.
12.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები
13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმების საფუძველზე.
13.3. შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულებას და იგი წარმოადგეს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
13.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
13.5. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
13.6. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.
13.7. ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით და ეხება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის არსებულ ურთიერთობას, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.8. მიწოდების ვადის 15 (თხუთმეტი) დღეზე მეტი დროით დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 14. სხვა პირობები
14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით.

ჩვენ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერნი და ვიზირების განმახორციელებელი პირები ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მხარეთა ხელმოწერები:

ი/მ აკაკი გეგეშიძე

შემსყიდველი:

ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-
ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / მმართველობა
გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი

ხელშეკრულება №სკ/23-287-ის დანართი №1

N	დასახელება / CPV 44500000	ზომის ერთ	რაოდენობა	ფასი	ჯამი
1	gost 19853-74 საზეთური მ6	ცალი	6	2	12.00 ₾
2	gost 1145-80 სჭვალი მ4x16	ცალი	4	0.2	0.80 ₾
3	gost 17475-80 ხრახნი მ6x25	ცალი	8	0.5	4.00 ₾
4	din 127 გროვერი მ5	ცალი	444	0.07	31.08 ₾
5	din 127 გროვერი მ6	ცალი	76	0.1	7.60 ₾
6	din 128 გროვერი მ10	ცალი	128	0.25	32.00 ₾
7	din 128 გროვერი მ4	ცალი	124	0.05	6.20 ₾
8	din 128 გროვერი მ8	ცალი	168	0.2	33.60 ₾
9	din 1481 შტიფთი	ცალი	6	2	12.00 ₾
10	din 7337 მოქლონი მ3,2x8	ცალი	780	0.15	117.00 ₾
11	din 7337 მოქლონი მ5x10	ცალი	60	0.2	12.00 ₾
12	din 7982 სჭვალი მ4,2x12	ცალი	600	0.2	120.00 ₾
13	din 7997 სჭვალი მ3,5x45	ცალი	448	0.15	67.20 ₾
14	din 934 ქანჩი მ6	ცალი	40	0.1	4.00 ₾
15	din 936 ქანჩი მ8	ცალი	16	0.2	3.20 ₾
16	din 937 ქანჩი ჩაჭრილი მ16	ცალი	6	5	30.00 ₾
17	din 94 ჭილიპყურა მ 4x45	ცალი	6	1	6.00 ₾
18	din 96 სჭვალი მ4x20	ცალი	48	0.5	24.00 ₾
19	din 965 ხრახნი მ5x16	ცალი	84	0.3	25.20 ₾
20	din 968 სჭვალი მ4,2x13	ცალი	126	0.2	25.20 ₾
21	din 10511 თვითსაჩერი ქანჩი მ3	ცალი	144	0.5	72.00 ₾
22	din 10511 თვითსაჩერი ქანჩი მ4	ცალი	96	0.6	57.60 ₾
23	din 10511 თვითსაჩერი ქანჩი მ6	ცალი	48	1	48.00 ₾
24	din 2009 ხრახნი მ 4x7	ცალი	216	0.25	54.00 ₾
25	din 4014 ჭანჭიკი მ10x95 10/9	ცალი	96	2.5	240.00 ₾
26	din 4014 ჭანჭიკი მ5x16 5/6	ცალი	24	0.5	12.00 ₾
27	din 4014 ჭანჭიკი მ8x45 8/8	ცალი	16	2.5	40.00 ₾
28	din 4017 ჭანჭიკი მ10x25 10/9	ცალი	96	2.5	240.00 ₾
29	din 4017 ჭანჭიკი მ10x35 10/9	ცალი	120	2.5	300.00 ₾
30	din 4017 ჭანჭიკი მ10x70 5/6	ცალი	96	2.5	240.00 ₾
31	din 4017 ჭანჭიკი მ12x24 10/9	ცალი	48	2.5	120.00 ₾
32	din 4017 ჭანჭიკი მ12x26 10/9	ცალი	48	2.5	120.00 ₾
33	din 4017 ჭანჭიკი მ4x10 5/6	ცალი	60	0.3	18.00 ₾
34	din 4017 ჭანჭიკი მ4x30 5/6	ცალი	72	0.5	36.00 ₾
35	din 4017 ჭანჭიკი მ5x10 8/8	ცალი	234	0.3	70.20 ₾
36	din 4017 ჭანჭიკი მ5x6 5/8	ცალი	108	0.4	43.20 ₾
37	din 4017 ჭანჭიკი მ5x20 8/8	ცალი	12	0.5	6.00 ₾
38	din 4017 ჭანჭიკი მ6x12 8/8	ცალი	24	0.5	12.00 ₾
39	din 4017 ჭანჭიკი მ6x14 8/8	ცალი	96	0.5	48.00 ₾
40	din 4017 ჭანჭიკი მ6x16 5/6	ცალი	96	0.5	48.00 ₾
41	din 4017 ჭანჭიკი მ6x20 5/8	ცალი	12	0.5	6.00 ₾
42	din 4017 ჭანჭიკი მ6x20 8/8	ცალი	24	0.5	12.00 ₾
43	din 4017 ჭანჭიკი მ6x25 8/8	ცალი	48	0.7	33.60 ₾
44	din 4017 ჭანჭიკი მ6x35 10/9	ცალი	138	1	138.00 ₾
45	din 4017 ჭანჭიკი მ8x16 8/8	ცალი	178	1	178.00 ₾
46	din 4017 ჭანჭიკი მ8x20 10/9	ცალი	32	1	32.00 ₾
47	din 4017 ჭანჭიკი მ8x20 8/8	ცალი	120	1	120.00 ₾
48	din 4017 ჭანჭიკი მ8x25 8/8	ცალი	84	1.5	126.00 ₾
49	din 4017 ჭანჭიკი მ8x35 8/8	ცალი	12	2	24.00 ₾
50	din 4017 ჭანჭიკი მ8x60 5/6	ცალი	16	2.5	40.00 ₾
51	din 4032 ქანჩი მ10	ცალი	96	0.5	48.00 ₾

52	din 4762 ხრახნი მ4x8 12/9	ცალი	24	1	24.00 ₾
53	din 7042 თვითსაჩერი ქანჩი მ10	ცალი	400	2.5	1,000.00 ₾
54	din 7042 თვითსაჩერი ქანჩი მ5	ცალი	156	1	156.00 ₾
55	din 7042 თვითსაჩერი ქანჩი მ6	ცალი	60	1	60.00 ₾
56	din 7042 თვითსაჩერი ქანჩი მ8	ცალი	60	2	120.00 ₾
57	din 7045 ხრახნი მ3x10	ცალი	48	0.3	14.40 ₾
58	din 7045 ხრახნი მ3x12	ცალი	48	0.3	14.40 ₾
59	din 7045 ხრახნი მ4x10	ცალი	24	0.3	7.20 ₾
60	din 7045 ხრახნი მ4x8	ცალი	36	0.3	10.80 ₾
61	din 7045 ხრახნი მ5x12	ცალი	94	0.5	47.00 ₾
62	din 7045 ხრახნი მ5x20	ცალი	24	0.5	12.00 ₾
63	din 7045 ხრახნი მ8x20	ცალი	216	1	216.00 ₾
64	din 7045 ხრახნი მ8x30	ცალი	78	1.5	117.00 ₾
65	din 7045 ხრახნი მ5x10	ცალი	66	0.5	33.00 ₾
66	din 7089 საყელური მ16	ცალი	6	0.5	3.00 ₾
67	din 7089 საყელური მ32	ცალი	48	0.05	2.40 ₾
68	din 7089 საყელური მ32	ცალი	48	0.05	2.40 ₾
69	din 7089 საყელური მ4,3	ცალი	96	0.07	6.72 ₾
70	din 7089 საყელური მ4,3	ცალი	60	0.07	4.20 ₾
71	din 7089 საყელური მ5.3	ცალი	32	0.1	3.20 ₾
72	din 7089 საყელური მ5.3	ცალი	480	0.1	48.00 ₾
73	din 7089 საყელური მ6	ცალი	168	0.15	25.20 ₾
74	din 7089 საყელური მ8,4	ცალი	176	0.2	35.20 ₾
75	din 7089 საყელური მ8	ცალი	586	0.2	117.20 ₾
76	din 7092 საყელური მ4	ცალი	24	0.07	1.68 ₾
77	din 7093 საყელური მ6 ფართე	ცალი	18	0.3	5.40 ₾
78	din 7093 საყელური მ6 ფართე	ცალი	6	0.3	1.80 ₾
79	din 7094 საყელური მ8 ფართე	ცალი	6	0.4	2.40 ₾
80	თვითმჭრელი მ4,2x19 ლითონის	ცალი	400	0.3	120.00 ₾
81	თვითმჭრელი მ4,2x25 ხის	ცალი	400	0.2	80.00 ₾
82	თვითმჭრელი მ4,2x38 ლითონის	ცალი	400	0.4	160.00 ₾
83	თვითსაჩერი ქანჩ8ი მ8	ცალი	64	2	128.00 ₾
84	din 4017 ჭანჭიკი მ6x35 10/9	ცალი	24	1.5	36.00 ₾
85	din 7042 თვითსაჩერი ქანჩი მ6	ცალი	33	1	33.00 ₾
86	din 7089 საყელური მ6	ცალი	46	0.1	4.60 ₾
87	din 7982 სჭვალი მ4,2x13	ცალი	250	0.1	25.00 ₾
88	din 968 სჭვალი მ4x16	ცალი	100	0.2	20.00 ₾
89	gost 1145-80 სჭვალი მ3.5x30	ცალი	30	0.3	9.00 ₾
90	gost 7805-70 ჭანჭიკი მ6x70	ცალი	30	1.5	45.00 ₾
91	gost 11860-85 დეკორატიული ქანჩი უჟანგავი	ცალი	30	2	60.00 ₾
92	gost 6402-70 გროვერი მ30	ცალი	1	3	3.00 ₾
93	din 553 ხრახნი მ4x6 10/9	ცალი	1	2	2.00 ₾
94	din 935 ჩაჭრილი ქანჩი მ8	ცალი	3	2	6.00 ₾
95	din 94 ჭილიპყურა მ2x18	ცალი	11	0.5	5.50 ₾
96	din 963 ხრახნი მ5x18	ცალი	2	0.5	1.00 ₾
97	din 963 ხრახნი მ6x16	ცალი	3	0.5	1.50 ₾
98	din 10511 თვითსაჩერი ქანჩი მ3	ცალი	8	0.5	4.00 ₾
99	din 7042 თვითსაჩერი ქანჩი მ5	ცალი	12	1	12.00 ₾
100	din 7045 ხრახნი მ3x12	ცალი	8	0.3	2.40 ₾
101	din 7045 ხრახნი მ5x16	ცალი	8	0.5	4.00 ₾
102	din 7045 ხრახნი მ5x20	ცალი	4	0.5	2.00 ₾
103	din 7045 ხრახნი მ8x20	ცალი	2	1	2.00 ₾
104	din 7089 საყელური მ3	ცალი	8	0.05	0.40 ₾

105	din 7089 საყელური მ5	ცალი	28	0.1	2.80 ₾
106	din 7089 საყელური მ8	ცალი	47	0.2	9.40 ₾
107	din 127 გროვერი მ10	ცალი	9	0.3	2.70 ₾
108	din 553 ხრახნი მ6x12 8/8	ცალი	2	3	6.00 ₾
109	din 963 ხრახნი მ6x16	ცალი	8	0.5	4.00 ₾
110	din 4017 ჭანჭიკი მ10x20 5/8	ცალი	1	2	2.00 ₾
111	din 127 გროვერი მ6	ცალი	10	0.1	1.00 ₾
112	din 127 გროვერი მ8	ცალი	65	0.2	13.00 ₾
113	din 7981 ხრახნი მ4,2x13	ცალი	32	0.4	12.80 ₾
114	din 934 ქანჩი მ10	ცალი	2	0.4	0.80 ₾
115	din 934 ქანჩი მ10 მარცხენა	ცალი	2	2	4.00 ₾
116	din 936 დაბალი ქანჩი მ20	ცალი	8	3	24.00 ₾
117	din 94 ჭილიპყურა მ1,6x14	ცალი	3	0.5	1.50 ₾
118	din 27434 ხრახნი მ10x12 8/8	ცალი	2	3	6.00 ₾
119	din 4017 ჭანჭიკი მ10x16 8/8	ცალი	2	2	4.00 ₾
120	din 4017 ჭანჭიკი მ10x25 10/9	ცალი	6	2.5	15.00 ₾
121	din 4017 ჭანჭიკი მ6x40 10/9	ცალი	4	2	8.00 ₾
122	din 4017 ჭანჭიკი მ8x16 8/8	ცალი	1	2	2.00 ₾
123	din 4017 ჭანჭიკი მ8x18 8/8	ცალი	4	2	8.00 ₾
124	din 4017 ჭანჭიკი მ8x22 8/8	ცალი	54	2	108.00 ₾
125	din 4017 ჭანჭიკი მ8/25 8/8	ცალი	4	2	8.00 ₾
126	din 7042 თვითსაჩერი ქანჩი მ10	ცალი	3	2	6.00 ₾
127	din 7089 საყელური მ10	ცალი	39	0.3	11.70 ₾
128	din 7093 საყელური ფართე მ10	ცალი	2	0.5	1.00 ₾
129	din 7093 საყელური მ8 ფართე	ცალი	1	0.5	0.50 ₾
130	din 127 გროვერი მ5	ცალი	4	0.1	0.40 ₾
131	din 934 ქანჩი მ6	ცალი	2	0.15	0.30 ₾
132	din 4017 ჭანჭიკი მ6x12 10/9	ცალი	1	1	1.00 ₾
133	din 4017 ჭანჭიკი მ5x12 8/8	ცალი	4	0.5	2.00 ₾
134	din 7093 საყელური ფართე მ6	ცალი	1	0.5	0.50 ₾
135	din 128 გროვერი მ10	ცალი	30	0.3	9.00 ₾
136	din 4017 ჭანჭიკი მ10x20 8/8	ცალი	30	2	60.00 ₾
137	din 968 სქვალი მ4.2x13	ცალი	24	0.3	7.20 ₾
138	din 4017 ჭანჭიკი მ6x16	ცალი	6	0.5	3.00 ₾
139	din 4017 ჭანჭიკი მ6x30 8/8	ცალი	8	0.5	4.00 ₾
140	din 7089 საყელური მ6,4	ცალი	6	0.1	0.60 ₾
141	din 7089 საყელური მ8,4	ცალი	28	0.2	5.60 ₾
					6,368.48 ₾

MOD 4 23 01523121 20.12.2023

ტიპი: **ხელშეკრულება**

შიდა №: **1523121**

თარიღი №: **20.12.2023**

გვერდები:

დანართი:

ინიციატორი: ნინო დოლიკაშვილი (სპეციალისტი)

ავტორები: **ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი (გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი) ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / მმართველობა**

თემა: **სკ/23-287 ხელშეკრულება ი/მ აკაკი გეგეშიძე**

ფაილები: 667_ბაზრის_კვლევა.pdf 671_ბაზრის_კვლევა.pdf სკ23-287_დანართი_N1.pdf

ვიზირებები: **უსანეთაშვილი მაია (გენერალური დირექტორის მოადგილე) ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / მმართველობა**
ლოლაძე დავით (დეპარტამენტის უფროსი) ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი
ჭიკაძე გიორგი (დეპარტამენტის უფროსის მოადგილე) ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი
ძულიაშვილი მანანა (სამმართველოს უფროსი) საჯარო სამართლის იურიდიული პირები / ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი / პროექტული და არაელექტრონული შესყიდვების სამმართველო
ჯახუტაშვილი მიხეილ (დეპარტამენტის უფროსი) ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / ლოჯისტიკის დეპარტამენტი
ბატიაშვილი ლევან (აღმრიცხველი) საჯარო სამართლის იურიდიული პირები / ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / ლოჯისტიკის დეპარტამენტი / საავტომობილო და საინჟინრო ტრანსპორტის სამმართველო / უზრუნველყოფის ჯგუფი
შალამბერიძე ირმა (დეპარტამენტის უფროსი) ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი
კანთელაშვილი მერი (მთავარი იურისტი) ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი
ჯაყელი ირმა (სამმართველოს უფროსი) ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / ფინანსების და დაგეგმარების დეპარტამენტი / ფინანსური ანალიზის და ბიუჯეტირების სამმართველო
თეთრაძე შალვა (მთავარი სპეციალისტი) საჯარო სამართლის იურიდიული პირები / ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ / სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი / პროექტული და არაელექტრონული შესყიდვების სამმართველო

რეზოლუციები: **ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ 20/12/2023 16:42:29 დავით ლოლაძე (დეპარტამენტის უფროსი) 20/12/2023 16:11:30**

ადრესატები: